ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ქეთევან უტიაშვილი

კომისიის წევრი: თეიმურაზ თოდრია

კომისიის წევრი: ხათუნა ჩხაიძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.04.18

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/18

შეკითხვა:

ადვოკატთა ასოციაციის წევრი „ბ“ საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს საერთო სპეციალობით. ადვოკატ „ბ“-ს ახლობელმა, როგორც ფიზიკურმა პირმა, ისე იურიდიულმა პირმა, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, ადვოკატ „ბ“-ს, როგორც ფიზიკურ პირს დაუთმო მოთხოვნის უფლება, იმ მიზნით, რომ სხვა პირის მიმართ მოეთხოვა მისგან ვალის ამოღება, რაც დამოწმდა ნოტარიულად და აღნიშნული შეთანხმება არ იყო თვალთმაქცური გარიგება. ადვოკატი „ბ“ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ სცნო უფლებამონაცვლედ და მოსარჩელედ მოპასუხეების მიმართ, რომელთაგან ერთი სარჩელი დააკმაყოფილა, როგორც საფუძვლიანი, ხოლო მეორე არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ სარჩელებს ადვოკატი „ბ“ აწარმოებდა სასამართლოში როგორც პირადად, ისე წარმომადგენელის (ადვოკატის) მეშვეობით, რომელთანაც ადვოკატ „ბ“-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ფიზიკურ პირს კანონმდებელი აძლევს უფლებას და არ ზღუდავს, რომ მისი სარჩელი მოთხოვნის უფლების

დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე საერთო სასამართლოებმა განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილებები, მიმაჩნია რომ ასეთი უფლება გააჩნია ადვოკატ „ბ“-საც, როგორც ფიზიკურ პირს და კანონმდებელი არ ზღუდავს რომ შეიტანოს ასეთი

სარჩელები, აწარმოოს პირადად ან წარმომადგენელის მეშვეობით - გააფორმოს მასთან საადვოკატო მომსახურეობის თაობაზე ხელშეკრულება და გაასაჩივროს გადაწყვეტილებები მისი არ დაკმაყოფილების შემთხვევაშიც. ადვოკატ „ბ“-ს მხრიდან ასეთი კატეგორიის საქმეებზე ადგილი არ ჰქონია რომელიმე მისი ყოფილი მარწმუნებლის და კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტს და მათ მიმართ საქმის წამოებას და შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სახეზე არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. დარღვეულია თუ არა ადვოკატ „ბ“ს-მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი: „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას”.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის პრინციპია: „ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს”.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიის მაღალი სტატუსი არ შემოიფარგლება მხოლოდ კლიენტთან არსებული საქმიანობით. ადვოკატის ფუნქცია ადვოკატს აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს, რომელიც მას გააჩნია სასამართლოს, სხვა ორგანოების, საზოგადოების და სხვა ინსტიტუციების წინაშე. ამდენად, ამ პროფესიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის როლისა და მისი დანიშნულების გააზრებასა და გათავისებას. ამისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, რომ ადვოკატი პატიოსნად ასრულებდეს საადვოკატო საქმიანობას მაღალი პროფესიონალიზმით და იმ პრინციპების დაცვით, რაც დადგენილია „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით. კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა ერთ-ერთი პრინციპია, რომლის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს ადვოკატი.

საადვოკატო საქმიანობის[1] განხორციელებისას, სხვა პრინციპებთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი,[2] რადგან ადვოკატის პროფესიონალიზმი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ პრინციპზე დაფუძნებული უფლება ვალდებულებების გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადვოკატი პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს კლიენტის ინტერესებს.[3] ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ამ პრინციპის დარღვევაზე მიუთითებენ შემთხვევები, როდესაც ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობაში აღრეული აქვს პირადი და კლიენტის ინტერესები. ამდენად, სხვა რიგ პრინციპებთან ერთად, ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად, კარგი რეპუტაციით და იურიდიული პროფესიის პატივისცემით და არ დაუშვას თავისი ან სხვა პირთა ინტერესები დააყენოს კლიენტის ინტერესებზე მაღლა.

ეთიკის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა მიუთითებდეს ამ პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნების ზედმიწევნით მაღალი სტანდარტით დაცვაზე. **ეს ნიშნავს იმას, რომ არა მარტო ფაქტობრივად, არამედ საზოგადოებაშიც უნდა არსებობდეს ადვოკატის საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულების აღქმა.**

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასმულ კითხვასთან მიმართებაში, ეთიკის კომისია დასძენს, რომ ადვოკატი ბ-ს მიერ კლიენტთან დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც ადვოკატი იკავებს კლიენტის პროცესუალურ სტატუსს სამართალწარმოებაში, შესაძლებელია საზოგადოებაში აღქმული იყოს იმდაგვარ „საქმიანობად“, როდესაც ადვოკატი „დავის საგნის შეძენის“ გზით პრიორიტეტს ანიჭებს საკუთარ ინტერესებს. ამ სახის საქმიანობით ადვოკატი აღიქმება როგორც ე.წ. „პროფესიონალური მოსარჩელე“, როდესაც ადვოკატი „იძენს“ კლიენტის მოთხოვნას და ამ საშუალების გამოყენებით მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესსში.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ასეთი მოქმედებით ირღვევა არა მხოლოდ ადვოკატის კეთილსინდისიერების, კარგი რეპუტაციის, იურიდიული პროფესიის პატივისცემისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი[4], არამედ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ფარგლები[5] და პროფესიული იმიჯი.

ადვოკატს თავისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს. ის ვალდებულია საადვოკატო საქმიანობა კეთილსინდისიერად განახორციელოს და გასწიოს კვალიფიციური მომსახურება.

---

[1] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი

[2] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლი

[3] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი

[4] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლი, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი

[5] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი

ადვოკატებმა პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადვოკატის საქმიანობა უკავშირდება იურიდიულ და მორალურ ვალდებულებათა წესებს, რომელთაც გააჩნიათ მჭიდრო ურთიერთკავშირი.

თქვენი შეკითხვიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა „ბ"-მ მიმართა სხვა ადვოკატს, რომელსაც აღნიშნულ საქმეზე უნდა განეხორციელებინა სასამართლოში მისი წარმომადგენლობა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მას სასამართლოში უნდა წარმოედგინა ადვოკატ „ბ"-ს ინტერესები, თუმცა მოცემული საქმე რეალურად უკავშირდებოდა იმ პირს, რომელმაც მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ „ბ"-სთან, რაც ეთიკის კომისიის მოსაზრებით შეფასებულია უარყოფითად.

ეთიკის კომისია დამატებით განმარტავს, რომ წინამდებარე რეკომენდაციაში მოცემული განმარტებები არ ეხება იმ კერძო შემთხვევებს, რომლებიც თქვენი კითხვიდან გამომდინარე უკვე შეფასებული და გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ.

დასკვნა:

ადვოკატს, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ქცევის მაღალი სტანდარტის დაცვა მოეთხოვება. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მიმართავს პირი თავისი საქმის თაობაზე კონსულტაციის მიღების მიზნით და ადვოკატი მას შესთავაზებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმებას, ასეთი სახის გარიგების გაფორმებისას სახეზე იქნება ეთიკური ვალდებულებების დარღვევა.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/